

**COVID-19 და ვებინარული ჯანდაცვა, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ერთიანი ჯანმრთელობის მისაღწევად**

**ღალი ვაშაკიძე**

საქართველოს ვეტერინარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი  
თბილისი, საქართველო

**E-mail: [laliko430@gmail.com](mailto:laliko430@gmail.com)**

4 მილიონზე მეტი COVID-19-ით დადასტურებული შემთხვევა და თითქმის 280000 დაღუპული ადამიანი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში დასავლეთ ევროპაში ახალი დაინფიცირების კლებითი სტატისტიკაა, თუმცა შესამჩნევი გახდა აღმოსავლეთ ევროპასა და ამერიკაში ყოველდღიური დაინფიცირების მატება.

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის უბრალოდ ციფრები - თითოეული ეს შემთხვევა არის დედა, მამა, შვილი, ძმა, და, ბებია, ბაბუა ან მეგობარი. პანდემიის გავლენა ბევრად სცდება შემთხვევების ციფრებს თუ სიკვდილიანობას. მთელი მსოფლიოს გარშემო, პანდემიამ გამოიწვია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჯანდაცვის სერვისების სასტიკი ჩამოშლა - რაშიც ასევე იგულისხმება ადგილობრივი ჯანდაცვა.

(WHO, UNICEF) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი და წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა სახელმძღვანელო ქვეყნებისთვის, თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ ადგილობრივი ჯანდაცვა COVID-19-ის პირობებში. სახელმძღვანელო გულისხმობს, პრაქტიკულ რეკომენდაციებს ქვეყნებისთვის, რათა მოხდეს აუცილებელი სერვისების მდგრადი მიწოდება ადგილობრივ დონეზე, ადგილობრივი ჯანდაცვის მუშაკების გამოყენება COVID-19-ის დასაძლევად, მათსავე ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე მზრუნველობის გათვალისწინებით, რჩევებს თუ როგორ უნდა მოხდეს სერვისების ადაპტაცია სპეციფიური დაავადებების და ასაკთა ჯგუფების მიმართ.

ბოლოს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო შეადგენს გაეროს სქემას, სოციო-ეკონომიკურ პასუხს COVID-19-ის შესახებ. ეს სქემა განსაზღვრავს, „ადგენის გეგმას“ ქვეყნებისთვის, რათა დაიცვან სიცოცხლე და სასიცოცხლო საშუალებები, ასევე რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს ბიზნესი და ეკონომიკა აქტიურ ფუნქციონირებას. უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ამსუბუქებს დაწესებულ შეზღუდვებს, თუმცა WHO ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას უნდა, რომ კვლავ განახორციელოს 6 კრიტერიუმი, რაც მათ მიერ რეკომენდებულია ქვეყნებისთვის:

- პირველი არის ის, რომ ზედამხედველობა გამკაცრებულია, დაინფიცირების შემთხვევები კლებულობს და ინფექციის გადაცემა კონტროლდება;
- მეორე, კონკრეტულ ადგილებზე ჯანდაცვის სისტემის ტევადობის გამოვლენა, იზოლაცია, ტესტირება, ყველა დადასტურებული შემთხვევის მკურნალობა და თითოეული კონტაქტის მოკვლევა.
- მესამე, ეპიდ-აფეთქების რისკები მინიმუმამდე დაყვანილი ჯანდაცვის გამარტივებული მდგომარეობით და სახლში მოვლით.
- მეოთხე, პრევენციული ზომების მიღება სამსახურში, სკოლაში ან ნებისმიერ იმ ადგილებში სადაც ადამიანებს უწევთ მისვლა.

- მეხუთე, ვირუსის იმპორტირების რისკები მართვადი გახდა.
- მეექვსე, საზოგადოება არის სრულად გათვინცობიერებული, პროცესებში ჩაბმული და ძლიერად შემზადებული „ახალი ნორმის“ მისაღებად.

სრული იზოლაციისა და ლოქდაუნის რისკი ისევე დიდი რისკის შემცველი რჩება, იმ შემთხვევაში თუ ქვეყნები გარდამავალ ეტაპის მართვას განსაკუთრებული სიფრთხილით არ მოეკიდებიან, შეზღუდვების მოხსნის ეტაპობრივი და ფაზირებული მიდგომის გათვალისწინებით.

6 მაისისთვის, საქართველოში ახალი კორონა ვირუსით დაინფიცირების 610 დადასტურებული შემთხვევაა. 269 დაინფიცირებული პაციენტი უკვე გამოჯანმრთელდა და გადიან თვით-იზოლაციას. 9 პაციენტი გარდაიცვალა კორონა ვირუსის შედეგად. ამ მომენტისთვის, 5113 ადამიანი გადის 14 დღიან სავალდებულო კარანტინს, ხოლო 523 პაციენტი იმყოფება დაკვირვების ქვეშ საავადმყოფოებში. NCDC საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში ინფექციის გადადების შემთხვევებმა დაიკლო. NCDC საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული განაცხადა, რომ „საქართველოში გამოჯანმრთელებული პაციენტების რიცხვმა გადააჭარბა დაინფიცირებულების რიცხვს, რაც ძალიან იმედის მომცემია. ჩვენი ამოცანაა, შევაკავოთ ვირუსის კვლავწარმოება“, რაც განმსაზღვრელი იქნება, იმისა რომ საჭირო აღარ გახდეს შეზღუდვების გამკაცრება.

მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ აქამდე ჯერ არსად არ გამოვლენილა ისეთი შემთხვევა, რომ ცხოველებს შეეძლოთ ვირუსის გავრცელება ადამიანებზე. IDEXX-მა და სხვა კომპანიებმა ტესტირება ჩაუტარეს კოვიდის ინფექციაზე ათასობით ძაღლს და კატას, ყველა პასუხი იყო უარყოფითი. მსოფლიო მასშტაბით დადასტურებული იქნა 2 ძაღლი, მათ შორის 1 პომერანული შპიცი ჰონგ-კონგში, კატა ბელგიაში და რამოდენიმე ვეფხვი ნიუ-იორკის ბრონქსის ზოოპარკში კოვიდის დადებითი დიაგნოზით, თუმცა ყველა ამ ცხოველის შემთხვევაში დაინფიცირება მოხდა ადამიანებისგან და არა პირიქით. კვლევები ნათლად აჩვენებს, რომ ეს ვირუსი მკვეთრად გამოსატულია ადამიანებში.

იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ლიცენზირებული ანტივირუსული პრეპარატი COVID-19ის სამკურნალოდ, ინფექციის პრევენცია რჩება ერთადერთ გასაღებად. მიმდინარე ეტაპისთვის არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ამ ვირუსის გავრცელებაში შინაური ცხოველები რაიმე სახის როლს ასრულებდნენ. თუმცა, რეკომენდაციები გაცემულია, დაინფიცირებული ადამიანების მიმართ, რომ ლიმიტირებული კონტაქტი იქონიონ მათ შინაურ ცხოველებთან, ასევე დაიბანონ ხელები სანამ ექნებათ მათთან შეხება. მიმდინარეობს კვლევები იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება დაინფიცირდნენ SARS-CoV-2-ით სხვადასხვა სახის ცხოველები.

პანდემიამ თვალსაჩინო გახადა ეროვნული ჯანდაცვის სისტემების მნიშვნელობა, როგორც მსოფლიო ჯანდაცვის უსაფრთხოების საფუძველი და უნივერსალური ჯანდაცვის განმაპირობებელი. ძლიერი და მოქნილი ჯანდაცვის სისტემები არის საუკეთესო თავდაცვა არა მხოლოდ ეპიდ-აფეთქებების ან პანდემიების წინააღმდეგ, არამედ ასევე სხვა მრავალი ჯამრთელობისთვის საშიში დაავადებების წინააღმდეგ, რასაც დღესდღეობით ხვდება მსოფლიო მოსახლეობა.

COVID-19ის პანდემიასთან დაკავშირებით, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ და მსოფლიო ვეტერინარიის ასოციაციამ გაამახვილეს

ყურადღება ვექტერინარიის მედიცინის როლსა და პასუხისმგებლობაზე ადამიანთა ჯანმრთელობის მიმართ. მათ განსაზღვრეს ის მნიშვნელოვანი ვექტერინარული აქტივობები, რაც აუცილებელია სურსათის უვნებლობის შესანარჩუნებლად, დაავადების პრევენციისთვის და გადაუდებელი სიტუაციების მართვისთვის. ამისათვის მათ განსაზღვრეს ვექტერინარული სერვისების ის აქტივობები, რომლებიც მიხნეული უნდა იქნას როგორც მთავარი საქმიანობა.

ვექტერინარები არიან განუყოფელი ნაწილი გლობალური ჯანდაცვის საზოგადოებისა. ცხოველების ჰანდაცვის და კეთილდღეობის გარდა, მათ აქვთ საკვანძო როლი დაავადების პრევენციასა და მენეჯმენტში, ასევე იგულისხმება ადამიანებში გადამდები დაავადებები და მოსახლეობისთვის სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფაში. მიმდინარე სიტუაციაში, ვექტერინარიის მსოფლიო ასოციაციის მიხედვით გადამწყვეტად მნიშვნელოვანია, ვექტერინარებმა სხვა აქტივობებთან ერთად ასევე განახორციელონ:

- სერვისის ეროვნული და რეგიონალური რეგულაციები და ინსპექტირება, რომელიც ზედამხედველობა უწევს მოსახლეობის ჯანდაცვას;
- მხოლოდ ჯანმრთელ ცხოველს და შემოწმებულ პროდუქტს შეუძლია გარანტირებული გახადოს სურსათის უვნებლობა მოსახლეობისთვის;
- ასევე შეგვიძლია მივმართოთ გადაუდებელი დახმარების სიტუაციებს;
- პრევენციული ზომების მიღება, ისეთი როგორცაა ვაქცინაცია დაავადებების წინააღმდეგ ინარჩუნებს მოსახლეობის ჯანდაცვას და ეკონომიკურ ზეგავლენას;
- კვლევების გაგრძელება პრიორიტეტულ საკითხებზე.

ცხოველებში CoVs-ის ინფექციის არსებობის, გრძელვადიანი გამოცდილების გათვალისწინებით, ვექტერინარულ მედიცინას შეუძლია SARS-CoV-2-ის საწყისი გავრცელება უკეთესად გაიგოს და ადამიანთა ჯანდაცვაში სამომავლო კვლევები მიმართული იქნას იმუნოგენურ განვითარებისკენ, უსაფრთხო ვაქცინისკენ და ეფექტური ანტივირუსული პრეპარატებისკენ.

ტყეების პროგრესულად გაჩეხვამ და ბუნებრივი გარემოს მიმართ ადამიანის უხეშმა ჩარევამ დიდწილად დააზიანა ეკოლოგიური ნიშები, სადაც CoVs ველურ ცხოველებში არის დაბუდებული. ასევე, ადამიანების მიერ ველური ცხოველების საფრთხეში ჩაგდება, ეს შესაძლოა კარგად არ ჩანდეს მაგრამ დიდი როლი ითამაშა SARS-CoV-2 გავრცელებაში, რაც უნდა იქნას შეზღუდული და აკრძალული, განსაკუთრებით იმ ადგილებში სადაც ანტისანიტარული მდგომარეობაა ცოცხალი ცხოველების ბაზრებზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ცხოველების დაავადება ჩოVს ადამიანებზე გადასვლის 3 შემთხვევა დაფიქსირდა დროის მოკლე მონაკვეთში, ბოლო 2 ათეულ წელიწადში. გარემოს დაცვის უფრო ფრთხილი მენეჯმენტი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი გახდება სამომავლო CoVs კორონა ვირუსების პანდემიების თავიდან ასაცილებლად. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ვექტერინარულმა მედიცინამ მხარი უნდა დაუჭიროს საჯარო პოლიტიკის განმახორციელებლებს, იმისათვის რომ მოხდეს ადაპტირება, ხელშეწყობა და მდგრადი ზომების მიღება, რათა მოხდეს გარემოს და ცხოველების სწორი მართვა გლობალური „ერთიანი ჯანმრთელობის“ მოძრაობის განსავითარებლად.

თუ კი რამეს ვისწავლით COVID-19-დან, ეს აუცილებლად უნდა იყოს ის, რომ ინვესტიცია მოვახდინოთ ჯანდაცვის სფეროში დღეს, რათა ხვალ შეგვეძლოს სიცოცხლის გადარჩენა. როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თქვა: „ამ პანდემიის ანტიდოტი არის ეროვნული ერთიანობა და გლობალური სოლიდარობა. ჩვენ ერთად დავამარცხებთ COVID-19-ს“.

#### გამოყენებული ლიტერატურა.

1. World Veterinary Association, <http://worldvet.org/>;
2. World Health Organization  
[https://www.who.int/health-topics/coronavirus#tab=tab\\_1](https://www.who.int/health-topics/coronavirus#tab=tab_1);  
<https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019>;
3. Food and Agriculture Organization of the United Nations  
<http://www.fao.org/2019-ncov/en/>;
4. World Organization for Animal Health (OIE)  
[https://www.oie.int/en/scientific-expertise/specific-information-and-recommendations/questions-andanswers-on-2019-novel-coronavirus/?fbclid=IwAR1Tm\\_HOK6WWdNt0Lk8fm-\\_LUG0fZekoho3fanEHwQrxYJRUBW8uVj3Ehz0](https://www.oie.int/en/scientific-expertise/specific-information-and-recommendations/questions-andanswers-on-2019-novel-coronavirus/?fbclid=IwAR1Tm_HOK6WWdNt0Lk8fm-_LUG0fZekoho3fanEHwQrxYJRUBW8uVj3Ehz0);
5. American Veterinary Medical Association,  
<https://www.avma.org/resources-tools/animal-health-and-welfare/covid-19>;
6. British Veterinary Association  
<https://www.bva.co.uk/coronavirus>
7. Federation of Veterinarians of Europe , <https://www.fve.org/covid-19-faqs/>;
8. U.S. Centers for Disease Control and Prevention  
<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/prepare/animals.html>  
<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/ppe-strategy/index.html>;
9. World Small Animal Veterinary Association,  
<https://wsava.org/news/highlighted-news/the-new-coronavirus-and-companion-animals-advice-forwsava-members/>;
10. Other Sources of Scientific and Clinical Information  
<https://www.nejm.org/coronavirus> (scientific news),  
<https://www.epa.gov/pesticide-registration/list-n-disinfectants-use-against-sars-cov-2>;  
<https://www.cliniciansbrief.com/article/coronavirus-veterinary-medicine-current-top-tips>;  
<https://www.coronavirus.gov/hk/eng/index.html>;

## **COVID-19 AND VETERINARY MEDICINE AS ESSENTIAL FOR ACHIEVING ONE HEALTH**

**Lali Vashakidze**

President of Georgian Veterinary Doctors United Association  
Tbilisi, Georgia

**E-mail: [laliko430@gmail.com](mailto:laliko430@gmail.com)**

### **Summary**

The pandemic of COVID-19 has highlighted the importance of strong national health systems as the foundation of global health security and universal health coverage. Strong and resilient health systems are the best defense not only against outbreaks and pandemics, but also against the multiple health threats that people around the world face every day.

If we learn anything from COVID-19, it must be that investing in health now will save lives later. veterinary medicine gained long-term experience with animal CoVs, that could help to make a

better understanding of the origin and spread of SARS-CoV-2 and drive future research in human medicine towards the development of immunogenic and safe vaccines and effective antiviral drugs.

Considering that animal CoVs spilled over into humans in three different occasions in the short time within two decades, a more cautious management of the environment will be fundamental to prevent future emergence of pandemic CoVs. Under these circumstances, veterinary medicine should support policy makers to adopt and promote sustainable measures for management of the environment and animals in order to advance the global 'One Health' movement.